საექსპერტო დასკვნა

შპს “Green BuilDers”

18.01.2024

ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. #16, საკონტაქტო ნომერი: 2-83-86-87 / 568-37-84-48; E-mail : GreenBuilDers2019@gmail.com
www.GreenBuilDers.ge

საექსპერტო დასკვნა :

დასკვნის მომზადების თარიღი : 18.01.2023

მისამართი : ქ.თბილისი, დასახლება ვარკეთილი -3

საკადასტრო კოდი : 01.19.39.014.017

მესაკუთრე : შპს „სარე დეველოპმენტი“

#	სახეობა	D დიამეტრი 10 სმ-ზე	H სიმაღლე (მ)	მდგომარეობა	შენიშვნა
1	კაკალი (Juglans regia)	27,3	7	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას და გახარება
2	კაკალი (Juglans regia)	26,8	7	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას და გახარებას
3	ჭერამი (Prunus armeniaca)	28,4	7	ჯანსაღი	ხილკენკროვრანი, ექვემდებარება გადარგვას და გახარებას
4	კაკალი (Juglans regia)	24,5	7	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას და გახარებას
5	თუთა (Morus)	63,4	8	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას და გახარებას
6	თუთა (Morus)	24,3	8	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას და გახარებას

25 სმ–მდე ხე–მცენარეების გადარგვა :

ხე–მცენარის გადარგვამდე, უნდა მოხდეს გადასარგავი ორმოს ამოღება, რომლის სიდიდე დამოკიდებულია ხე–მცენარის მოცულობით ზომებზე და ხნოვანებაზე. ამოღებული ორმოში უნდა მოხდეს მიწის ნოყიერი მასის, სერტიფიცირებული და ბიოლოგიური სასუქების შეტანა.

გადასარგავი ხე–მცენარის ნიადაგიდან ამოღება უნდა მოხდეს მისი ფესვთა სისტემის დაუზიანებლად, უმჯობესია მოხდეს მიწის კომი ფიქსირება სპეციალური დამცავი კონსტრუქციით (მაგ. ჯვალო).

დარგვის დროს არ უნდა დაიშალოს მიწის კომი, არ დაზიანდეს ხე–მცენარის ღერო, ფესვთა სისტემა და ვარჯი.

ხე–მცენარის დარგვის შემდეგ აუცილებელია ღეროს ფიქსირება რამდენიმე მხრიდან, რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად,ხე–მცენარის სიდიდიდან გამომდინარე.გადარგული ხე–მცენარის მიწა იტკეპნება, ხოლო დარგულიხე–მცენარის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი.

ხე–მცენარის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მისი მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

ხე–მცენარის მოვლა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში. გადარგვის შემდგომ, მაისიდან სექტემბრის ჩათვლით, უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა კვირაში არანაკლებ ორჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მცენარის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთხელ. თითოეული მცენარისათვის სარწყავი წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის ზომაზე, ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს.
რეკომენდირებულია ხდებოდეს მცენარის მიწისზედა ნაწილების დაწვიმება. (ფოთლები, წიწვები) დაწვიმებასთან ერთად შესაძლებელია მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შერევა წყალთან ერთად.

დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთხელ უნდა ჩატარდეს სარწყავი ჯამების განახლება-გაფხვიერება, ხოლო ყინვების პერიოდში უნდა მოხდეს ჯამების დახურვა, რათა თავიდან იქნას აცილებული მცენარის ფესვთა სისტემის გაყინვა. ასევე საჭიროა სარეველა ბალახებისგან გაწმენდა, ფოთლოვანი ხის ფესვის ყელიდან ამონაყარის მოცილება.ხე–მცენარისგადარგვის პირველი წლიდანვე საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეებზედაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები.

ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე, (ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შეტანა და მორწყვა. სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს დარგვიდან მესამე წელს. (შესატანი სასუქების ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად). დარგვიდან სამი წლის შემდეგ მცენარეს უნდა მოეხსნას ხის დასაფიქსირებელი საშუალებები.

გადარგულ ხე–მცენარეს დროთა განმავლობაში უნდა ჩაუტარდეს სხვლა–ფორმირება, ხმელი ტოტების მოშორების, ფესვთა სისტემის გაძლიერების და ვარჯის არასწორი განვითარების თავიდან აცილების მიზნით.

გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში, შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით და უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით.

დირექტორი **ცირა ჯაფოშვილი**

ექსპერტი **არსენა ბახია**



www.GreenBuilDers.ge



www.GreenBuilDers.ge



www.GreenBuilDers.ge



www.GreenBuilDers.ge



www.GreenBuilDers.ge



www.GreenBuilDers.ge

ხე-მცენარის გადარგვის ტექნიკური რეგლამენტი

25 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხე-მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგია

დამკვეთი: შპს სარე დეველოპმენტი ს/ნ 405566472

საკადასტრო კოდი: 01.19.39.014.047

მისამართი: ქალაქი თბილისი ვარკეთლის დასახლება -3

გადასარგავი მწვანე ნარგავები:

N1 კაკალი D 27,3

დასარგავი ორმოს და ნიადაგის მომზადება

მცენარის გადარგვამდე უნდა მოხდეს ორმოს მომზადება, რომლის მოცულობა იქნება აღნიშნულ ხის დიამეტრის პროპორციული. აღნიშნული მცენარის დიამეტრია 27.3 სმ. დიამეტრის შესაბამისად მცენარის სარგავი ორმოს მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 3მ დიამეტრის, ხოლო სიღრმე 2.0მ. სარგავ ორმოში აუცილებელია ტორფნარი მიწის შეტანა, რითაც 2 სმ სისქით უნდა დაიფაროს ორმოს ფსკერი და კედლები. სარგავი ორმოს გარშემო პერიმეტრი 2 მეტრის რადიუსით უნდა გასუფთავდეს სარეველა ბალახისგან, ქვებისგან სამშენებლო ნარჩენებისგან, ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია ტექნიკის გამოყენებით). გადასარგავი ადგილი უნდა გაიწმინდოს სარეველა მცენარეებისგან, ქვებისაგან და ნაგვისაგან, ხოლო შემდეგ გაწმენდილი ადგილი მოხვნას და გადაიფარცხოს.

მცენარის გადარგვა

ხე-მცენარის გადარგვამდე უნდა მოხდეს ადგილის გადაზომვა ხის ღეროდან 1.5 მ. ისე რომ მთლიანი კომი გამოვიდეს 3 მ. მცენარის გარშემო უნდა გაკეთდეს ტრანშე და მოხდეს მცენარის ამოღება განსაკუთრებული სიფრთხილით. გადარგვის პროცესში გამოყენებული უნდა იქნას სპეციალური ტექნიკა. კერძოდ, ტრაქტორი რომლითაც ხორციელდება ტრანშეს გაჭრა და შესაბამისი ამწე, რომლის საშუალებითაც ხდება ნარგავის გადატანა. შემხვედრი ფესვების ჩაჭრა უნდა მოხდეს მავთულით ან თხელი ბასრი ლითონის საგნით, რადგან არ

მოხდეს ფესვების გადატეხვა ამოღების დროს სტანდარტების დაცვის შემთხვევაში მოხდება ფესვების ნაკლები დაზიანება. მცენარე მიწიდან უნდა ამოვიდეს კომის დაუშლელად, ამიტომ კომი უნდა შეიხვიოს ჭილოფის დიდ ნაჭერში მჭიდროდ, რადგან გადატანისას არ მოხდეს კომის დაშლა. ფესვის ყელიდან 2,5 მეტრის სიმაღლეზე უნდა მოხდეს მცენარის დაფიქსირება, რადგან არ მოხდეს მისი წაქცევა. მცენარეს ორმოში ჩადგმამდე უნდა მოხდეს ჭილოფის მოხსნა და განსკაუთრებული სიფრთხილით მოხდეს მცენარის დასარგავ ადგილზე დაფიქსირება. ორმოსა კედლებსა და კომს შორის არსებული სივრცე უნდა შეივსოს ტორფიანი ნიადაგით. რის შემდეგ უნდა მოხდეს მიწის შემოყრა დატკეპნა და სარწყავი ჯამის გაკეთება. მცენარე უნდა დაფიქსირდეს გარშემო 3 სოლით და თოკის გამოყენებით, 3 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს ინტენსიური მორწყვა დილითა და საღამოს პერიოდში, 3 თვის შემდეგ დღეგამოშვებით - 1 თვის განმავლობაში.

დარგვის შემდგომი პერიოდის მოვლითი სამუშაოები

მცენარის განსაკუთრებული მოვლა უნდა მოხდეს 3 წლის განმავლობაში, რაც მცენარისათვის ახალი გარემოს შეგუების ოპტიმალური პერიოდია და ნარგავის გახარებისთვის აუცილებელი პირობა.

მცენარის ვეგეტაციის პერიოდში (აპრილის შუა რიცხვიდან - ნოემბრის ჩათვლით) მცენარე უნდა მოირწყოს მშრალ ამინდებში, საშუალო ტემპერატურის მიხედვით: 22^0-დან -30^0-მდე ტემპერატურისას ყოველ მე-3 ან მე-4 დღეს (ნიადაგის ტენიანობის მიხედვით), 30^0-დან 35^0-მდე დღეგამოშვებით, ხოლო 35^0 ზე ზევით ტემპერატურისას ყოველდღე.[1] რეკომენდირებულია დამონტაჟდეს სარწყავი სისტემა, რომელსაც ექნება ავტომატური მორწყვის სისტემა და უზრუნველყოფს მცენარეების მორწყვას ზემოთაღნიშული პრინციპის დაცვით.

პერიოდულად უნდა მოხდეს შემხმარი ტოტების მოცილება, ვეგეტაციის პერიოდში მოხდეს მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ პროფილქტიკური შეწამვლა მცენარეთა დამცველის რეკომენდაციის მიხედვით. (რეკომენდირებულია მოხდეს ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა, თუ გარემო პირობები ამის საშუალებას იძლევა, სხვა შემთხვევაში მოხდეს ქიმიური პესტიციდების შესხურება, მათი გამოყენების წესების სრული დაცვით.)

დარგვიდან მეორე სავეგეტაციო პერიოდში უნდა მოხდეს ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა კომეტენტური პირის (მაგ. აგროქიმიკოსის) რეკომენდაციით.

მცენარის გახმობის ან დაზიანების შემთხვევაში მისი ჩანაცვლება უნდა მოხდეს დადგენილი წესის მიხედვით.

---

[1] წყარო: http://www.treegator.com/watering/index

N2 კაკალი D 26.8

დასარგავი ორმოს და ნიადაგის მომზადება

მცენარის გადარგვამდე უნდა მოხდეს ორმოს მომზადება, რომლის მოცულობა იქნება აღნიშნულ ხის დიამეტრის პროპორციული. აღნიშნული მცენარის დიამეტრია 26.8 სმ. დიამეტრის შესაბამისად მცენარის სარგავი ორმოს მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 3მ დიამეტრის, ხოლო სიღრმე 2.0მ. სარგავ ორმოში აუცილებელია ტორფნარი მიწის შეტანა, რითაც 2 სმ სისქით უნდა დაიფაროს ორმოს ფსკერი და კედლები. სარგავი ორმოს გარშემო პერიმეტრი 2 მეტრის რადიუსით უნდა გასუფთავდეს სარეველა ბალახისგან, ქვებისგან სამშენებლო ნარჩენებისგან, ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია ტექნიკის გამოყენებით). გადასარგავი ადგილი უნდა გაიწმინდოს სარეველა მცენარეებისგან, ქვებისაგან და ნაგვისაგან, ხოლო შემდეგ გაწმენდილი ადგილი მოხვნას და გადაიფარცხოს.

მცენარის გადარგვა

ხე-მცენარის გადარგვამდე უნდა მოხდეს ადგილის გადაზომვა ხის ღეროდან 1.5 მ. ისე რომ მთლიანი კომი გამოვიდეს 3 მ. მცენარის გარშემო უნდა გაკეთდეს ტრანშე და მოხდეს მცენარის ამოღება განსაკუთრებული სიფრთხილით. გადარგვის პროცესში გამოყენებული უნდა იქნას სპეციალური ტექნიკა. კერძოდ, ტრაქტორი რომლითაც ხორციელდება ტრანშეს გაჭრა და შესაბამისი ამწე, რომლის საშუალებითაც ხდება ნარგავის გადატანა. შემხვედრი ფესვების ჩაჭრა უნდა მოხდეს მავთულით ან თხელი ბასრი ლითონის საგნით, რადგან არ მოხდეს ფესვების გადატეხვა ამოღების დროს სტანდარტების დაცვის შემთხვევაში მოხდება ფესვების ნაკლები დაზიანება. მცენარე მიწიდან უნდა ამოვიდეს კომის დაუშლელად, ამიტომ კომი უნდა შეიხვიოს ჭილოფის დიდ ნაჭერში მჭიდროდ, რადგან გადატანისას არ მოხდეს კომის დაშლა. ფესვის ყელიდან 2,5 მეტრის სიმაღლეზე უნდა მოხდეს მცენარის დაფიქსირება, რადგან არ მოხდეს მისი წაქცევა. მცენარეს ორმოში ჩადგმამდე უნდა მოხდეს ჭილოფის მოხსნა და განსკაუთრებული სიფრთხილით მოხდეს მცენარის დასარგავ ადგილზე დაფიქსირება. ორმოსა კედლებსა და კომს შორის არსებული სივრცე უნდა შეივსოს ტორფიანი ნიადაგით. რის შემდეგ უნდა მოხდეს მიწის შემოყრა დატკეპნა და სარწყავი ჯამის გაკეთება. მცენარე უნდა დაფიქსირდეს გარშემო 3 სოლით და თოკის გამოყენებით, 3 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს ინტენსიური მორწყვა დილითა და საღამოს პერიოდში, 3 თვის შემდეგ დღეგამოშვებით - 1 თვის განმავლობაში.

დარგვის შემდგომი პერიოდის მოვლითი სამუშაოები

მცენარის განსაკუთრებული მოვლა უნდა მოხდეს 3 წლის განმავლობაში, რაც მცენარისათვის ახალი გარემოს შეგუების ოპტიმალური პერიოდია და ნარგავის გახარებისთვის აუცილებელი პირობა.

მცენარის ვეგეტაციის პერიოდში (აპრილის შუა რიცხვიდან - ნოემბრის ჩათვლით) მცენარე უნდა მოირწყოს მშრალ ამინდებში, საშუალო ტემპერატურის მიხედვით: 22^0-დან -30^0-მდე ტემპერატურისას ყოველ მე-3 ან მე-4 დღეს (ნიადაგის ტენიანობის მიხედვით), 30^0-დან 35^0-მდე დღეგამოშვებით, ხოლო 35^0 ზე ზევით ტემპერატურისას ყოველდღე.[2] რეკომენდირებულია დამონტაჟდეს სარწყავი სისტემა, რომელსაც ექნება ავტომატური მორწყვის სისტემა და უზრუნველყოფს მცენარეების მორწყვას ზემოთაღნიშული პრინციპის დაცვით.

პერიოდულად უნდა მოხდეს შემხმარი ტოტების მოცილება, ვეგეტაციის პერიოდში მოხდეს მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ პროფილქტიკური შეწამვლა მცენარეთა დამცველის რეკომენდაციის მიხედვით. (რეკომენდირებულია მოხდეს ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა, თუ გარემო პირობები ამის საშუალებას იძლევა, სხვა შემთხვევაში მოხდეს ქიმიური პესტიციდების შესხურება, მათი გამოყენების წესების სრული დაცვით.)

დარგვიდან მეორე სავეგეტაციო პერიოდში უნდა მოხდეს ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა კომეტენტური პირის (მაგ. აგროქიმიკოსის) რეკომენდაციით.

მცენარის გახმობის ან დაზიანების შემთხვევაში მისი ჩანაცვლება უნდა მოხდეს დადგენილი წესის მიხედვით.

დამოუკიდებელი ექსპერტი:

ბექა ბერძენიშვილი

[2] წყარო: http://www.treegator.com/watering/index

ხელშეკრულება

ხე-მცენარის გადარგვასთან დაკავშირებით

ქ. თბილისი

11 მარტი 2024 წ.

ერთი მხრივ, **შპს „სარე დეველოპმენტ“** (ს/კ 405566472) წარმოდგენილი მისი დირექტორის რეუვენ ბენ შემეშ (პ/ნ 01601119762) სახით, (შემდგომში „დამკვეთი”) და

მეორე მხრივ, **შპს „გრიინ ბილდერსის Green BuilDers”** (ს/კ 402118686) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ცირა ჯაფოშვილი** (პ/ნ 01011067287) სახით (შემდგომში „შემსრულებელი”), ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, უზრუნველყოს ხე-მცენარეების, კერძოდ ორი კაკლის ხის (დიამეტრით 27,3სმ და 26,8სმ) გადარგვითი სამუშაოები შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვარკეთილის დასახლება 3, (ს/კ 01.19.39.014.047).

2. ხელშეკრულების ვადა და ანაზღურების პირობები

2.1. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2024 წლის დეკემბრის ჩათვლით.

2.2. მომსხურების ღირებულება შეადგენს **2500 (ორი ათას ხუთასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.**

2.3. სამუშაოების წარმოება დაიწყება დამკვეთის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

2.4. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ ნებართვის გაცემიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

3. მომსახურების ხარისხი

3.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას მომსახურება განახორციელოს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, ყოველგვარი ნაკლის გარეშე, დამკვეთის მოთხოვნების და სახელმწიფოს/მუნიციპალიტეტის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

3.2. მომსახურებაში ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას ხარვეზი.

3.3. შემსრულებელი აგრეთვე სრულად პასუხისმგებელია იმგვარ ზიანზე, რომელიც მის მიერ წარმოებული სამუშაოების შედეგად შესაძლებელია მიადგეს მესამე პირებს.

4. ფორს-მაჟორი

4.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულების სრული ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება.

4.2. „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ, კერძოდ: წყალდიდობა, მიწისძვრა, ომი და საომარი მოქმედებები, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების საკანონმდებლო აქტები, რომელიც გამორიცხავს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

4.3. მხარეები ვალდებულები არიან დაუყოვნებლივ შეატყობინონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შესახებ.

5. დავების გადაწყვეტა

5.1 მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით.

5.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმეს განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. დასკვნითი დებულებები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად. ორივე მხარეს გადაეცა თითო-თითო ეგზემპლარი.

6.2 ორივე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ ერთ-ერთი მხარის მხრიდან ადგილი ექნება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევას.

6.3 ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება ძალაშია თუ ის შედგენილია წერილობით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.

„დამკვეთი“	„შემსრულებელი“
შპს „სარე დეველოპმენტ“ (ს/კ 405566472)	შპს „გრიინ ბილდერსის Green BuilDers”
დირექტორი რეუვენ ბენ შემეშ	(ს/კ 405566472)
პ/ნ 01601119762	დირექტორი **ცირა ჯაფოშვილი**
	პ/ნ 01011067287
	ს/ხ „თიბისი ბანკი“
	ა/ა: GE73TB7766936080100011